ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
დ. უზნაძის ქ. №65



თბილისი

2018, იანვარი

საკვლევი ტერიტორია დ. უზნაძის ქ. №65, კ. მარჯანიშვილისა და დ. უზნაძის ქუჩის კვეთასთან ახლოს, ყოფილი „ამიერკავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების“, შემდგომ უნივერმაღის, ახლანდელი „თიბისი“ ბანკის ცენტრალური ოფისის მოპირდაპირედ მდებარეობს.

კ. მარჯანიშვილის ქუჩა, ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ძირითადი არტერიის, - დ. აღმაშენებლის (მიხეილის პროსპექტის) მიმდებარე ქუჩაა, რომელიც ვერის ხიდის გაყოლებაზე ვითარდება და ქალაქის ორ ცენტრალურ უბანს აკავშირებს.



XVIIIს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს პროსპექტი არსებობს – ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა, სადაც ახლა კ. მარჯანიშვილის ქუჩა გადის).

ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული

გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.



არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.



კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით, აღნიშნული მონაკვეთი საკმარისად ინტენსიურად არის განაშენიანებული, კერძოდ, ქუჩის კენტი ციფრებით აღნიშნული ნაგებობები №11-დან №19-ის ჩათვლით, ყველა ძეგლებს წარმოადგენს, რაც შეეხება ქუჩის მეორე მხარეს, აქ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით მხოლოდ №18 სარგებლობს. დანარჩენი განაშენიანება მთლიანად რეკონსტრუირებულია შესაბამისი მასშტაბით და არქიტექტურული სტილისტიკით, თუმცა ქუჩის აუთენტური მდგომარეობის აღდგენა არ მომხდარა, ვინაიდან არ არსებობდა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელზედაც დაეყრდნობოდა სარესტავრაციო პროექტი.





სამწუხაროდ, ქალაქის ამ ნაწილმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა ურბანული ქსოვილის ნამდვილობის კუთხით. დღეს აღარ არსებობს ოდესღაც მარჯანიშვილის მოედანზე მდგარი კირხა, არ არსებობდა აგრეთვე

რეკონსტრუირებული განაშენიანება, რომელიც საბჭოთა პერიოდში გაუმართლებლად გაგანიერებული ქუჩის მონაკვეთს ავსებდა.



XXI საუკუნის პირველ ათწლეულში თბილისის ისტორიული ცენტრის რეაბილიტაციისას ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა, როდესაც აღდგა კ. მარჯანიშვილის ქუჩის დაკარგული თავდაპირველი განაშენიანების ხაზი, კერძოდ, კ. მარჯანიშვილის თეატრიდან, ვიდრე მოედნამდე.



დანგრეული განაშენიანების მონაკვეთი მთლიანად შეივსო უბნის შესაბამისი მასშტაბისა და არქიტექტურის ნაგებობებით (ავტ. არქიტექტორები: ლ. მუშკუდიანი, გ. კიკნაძე). ასევე განახლდა კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრი (ავტ. რესტავრატორი ნ. ზაზუნიშვილი) და ქუჩის მოპირდაპირე მხარე (თიბისი ბანკის სათაო ოფისი, რეკონსტრუქცია – არქიტექტორები: გ. კიკნაძე, ლ. მუშკუდიანი).

ახალი მოცულობები კ. მარჯანიშვილის ქუჩის მონაკვეთის ორივე მხარეს განთავსდა და დ. უზნაძის ქუჩაზე გადასროლილ თაღთან ერთად, ერთიან ანსამბლში გაერთიანდა.



დ. უზნაძის №65, კერძო შპს-ს მფლობელობაში არსებულ ვრცელ მიწის ნაკვეთს და მასზე ფიქსირებულ საწყობის შენობისგან შემორჩენილ ერთმალიან ნაგებობას მოიცავს. ეს მიწის ნაკვეთი თავისი ვიწრო ნაწილით ესაზღვრება მარჯანიშვილის მოედანზე გამავალ საბჭოთა პერიოდის მსხვილ განაშენიანებას დ. აღმაშენებლის გამზირი №86, რომელიც აგებულია 1948წ. არქიტექტორ მ. მელიას პროექტით, ხოლო გრძივი მხრიდან ესაზღვრება მარჯანიშვილის ქუჩასა და სანკტ-პეტერბურგის ქუჩებს, რომელთა განაშენიანება მთლიანად XIX საუკუნეს განეკუთვნება.

დ. უზნაძის ქუჩის მხარეს, საკვლევ მონაკვეთზე, შვიდსართულიანი, შეუსაბამო შენობა დგას, რომელიც სრულიად „ამოვარდნილია“ განაშენიანების კონტექსტიდან, ხოლო მის მეორე მხარეს დ. უზნაძის №63, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – ორსართულიანი სახლი დაშენებული მანსარდით.





ამ ორ შენობას შორის არსებული ფაქტობრივად ცარიელი მიწის ნაკვეთი (მასზე მდებარე /ამჟამად დემონტირებული/ საწყობის შენობა) 1960 წ. ჩაენაცვლა ამ ადგილას ადრე არსებულ ბაღსა და საცხოვრებელ სახლს, რომელიც ისტორიულ რუკებზე ჩანს, მაგრამ ფოტოდოკუმენტაციაში არ ფიქსირდება. საწყობი ეკუთვნოდა ზემოხსენებულ „უნივერსალურ მაღაზიას“ 1990 წლამდე, შემდგომ გადავიდა კერძო მფლობელობაში კვლავ საწყობის ფუნქციით.

საწყობის შენობა ერთსართულიანი იყო, სწორკუთხა ფორმის. ნაწილობრივად სარდაფით. მზიდი კონსტრუქციები – რკინა-ბეტონი, გადახურვა სიმკარი, კედლები მსხვილპანელოვანი, გადახურვა ბრტყელი ფორმის. ფასადზე სამი მსხვილი ღიობით და ორფრთიანი ლითონის კარით. ამჟამად ტერიტორიაზე შემორჩენილია ამ შენობის მხოლოდ ერთმალიანი ნანგრევი, რომელიც კულტურულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებულებას არ წარმოადგენს.





დასკვნა-რეკომენდაცია

არსებული ტერიტორიის ათვისებისას, პროექტმა უნდა გაითვალისწინოს ორი ძირითადი კონტექსტი:

1. არსებულ მონაკვეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე და მათი მასშტაბი;

2. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის მსხვილი მოცულობების სიახლოვე და მათი ზეგავლენის შერბილების შესაძლებლობა, კერძოდ:

სასურველია ახალი მოცულობის ქვედა, ძირითადი ნაწილი შესაბამისი იყოს უზნაძის ქუჩის და სანქტ-პეტერბურგის ქუჩის XIX ს-ში ჩამოყალიბებული ისტორიული განაშენიანებისა.

ძირითადი ნაწილის ზედა მხარე სასურველია გადაწყდეს დაშენების მსგავსად: ფასადიდან შეწევით; ერთიანი, თანამედროვე მხატვრულ-არქიტექტურული იერით; ფონური, ნეიტრალური ხასიათით, რაც ვფიქრობ, მთლიანობაში შექმნის გარდამავალ საფეხურს შეუსაბამო შვიდსართულიან კორპუსსა და უბნის ტრადიციულ განაშენიანებას შორის.

შენობის გადახურვა უნდა მოხდეს უბნისათვის დამახასიათებელი დაფერდებული სახურავების მოტივის გამოყენებით, შესაძლებელია აგრეთვე ნაწილობრივ ბრტყელი ტერასული გადახურვის ჩართვაც.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი